პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი 19.07.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი – დამოუკიდებელი კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
მაია ჩიხლაძე – ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე; საბჭოს სხდომის მდივანი (შემდგომში - მდივანი);
მამია ჯანჯალია – სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' დირექტორი;
ირაკლი პეტრიაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი – პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International;
ელენე ალადაშვილი - საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნიკაციებისა და განვითარების დირექტორი;
ეკატერინე ნარეშელაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
ნინო მეგრელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ანანო გოგნაძე - ცენტრის სტაჟიორი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისის" წარმომადგენლები:
მალხაზი ასლამაზაშვილი - დირექტორი

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლები:
თეა ლილუაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "მერმისის" წარმომადგენლები:
დავით უგულავა - დირექტორის მოადგილე
ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის წარმომადგენლები:
ნინო გომელაური - ხარისხის სამსახურის უფროსი
სოფო გომელაური - ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს წარმომადგენლები:
ნანული ზარიძე - დირექტორი
თინათინ ჭუმბაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ლაშა იმერლიშვილი - დამფუძნებელი

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის წარმომადგენლები:
ნატალია ბარათელი - ხარისხის სამსახურის უფროსი
ლელა თვარაძე - იურისტი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ნინო ფეტვიაშვილი
მარინა გოგოლაძე
ნატო ალავიძე
თამარ ვალიშვილი
ქეთევან ჯანელიძე
თამარ რემიშვილი
თეა შაყულაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:30 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად თავმჯდომარის დავალებით საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება დაევალა საბჭოს წევრს მაია ჩიხლაძეს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №29 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
4. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა
5. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა
6. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
7. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ ითხოვა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი განხილულიყო პირველ საკითხად.

ცენტრის წარმომადგენელის შუამდგომლობის საფუძველზე საბჭომ კენჭისყრით შეცვალა სხდომის დღის წესრიგი. განსახილველი საკითხების თანმიმდევრობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა
2. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №29 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
5. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა
6. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
7. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდნენ ნინო გომელაური და სოფიო გომელაური, რომლებმაც სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დოკუმენტი დაერთო ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების წლიურ ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების წლიური ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნინო ფეტვიაშვილმა და მარინა გოგოლაძემ.

ნინო ფეტვიაშვილმა მოახსენა საბჭოს, რომ თვითშეფასების წლიური ანგარიშის წარმოდგენის გარგლებში დაწესებულებამ გამოთქვა სურვილი დაიმატოს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ვიზიტისას შემოწმდა ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. ექსპერტების განმარტებით ავტორიზაციის სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია. დაწესებულება ახორციელებს 11 პროფესიულ პროგრამას, აქედან ერთი პროგრამა შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, ამდენად, დაწესებულება უკვე იცნობდა მოდულური პროგრამის სპეციფიკას. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამის მოდულები ადაპტირებულია.

კოლეჯი მდებარეობს ქალაქ მარნეულში, 26 მაისის ქუჩა №80, ფართს ფლობენ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ხუთი წლის ვადით. აუდიტორიები განთავსებულია ერთ სართულზე. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა A და B გარემო, თუმცა მათ პროგრამაში შედის არჩევითი მოდული - გადაუდებელი დახმარება, რომლის განხორციელებისათვის საჭიროა C გარემო. დაწესებულების მიერ ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემო სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. საჭირო A და B გარემო აღჭურვილია 11 პროფესიული სტუდენტისათვის, შესაბამისად ორ ცვლაში 22 პროფესიული სტუდენტისათვის.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ სამომავლოდ მოხდეს ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის დახვეწა და მასში აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინება. ექსპერტებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს სტრატეგიული გეგმა მოიცავდეს დაგეგმილ აქტივობებს, მისი განხორციელების ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა და მოსალოდნელ შედეგებს, ასევე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდებსა და გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმებს.

ამასთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯში უკვე მიმდინარეობს ექვსწლიანი ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და ექსპერტების რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ კოლეჯს ჰყავს 37 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 18 მათგანი განახორციელებს ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამას.

ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტები იმყოფებოდნენ პრაქტიკის ობიექტზე. კოლეჯს ხელშეკრულება აქვს დადებული მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან. ხელშეკრულებაში მკაფიოდაა გაწერილი თანამშრომლობის დეტალები. ექსპერტები იმყოფებოდნენ ბაგა-ბაღში, რომელიც ამ გაერთიანების წევრია. ბაგა-ბაღის წარმომადგენელთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ დაწესებულება მზად არის მიიღოს კოლეჯის სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე, მსგავსი გამოცდილება მათ უკვე აქვთ.

თავმჯდომარემ ჰკითხა საბჭოს წევრებს აღნიშნულ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისათვის ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს (ს/კ:234158498) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	162	ქართული	22	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80

2. **სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა კახაბერ ერაძემ.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ საკითხი ეხებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილებას. კოლეჯი ახორციელებს მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - მეცხოველეობა (მესაქონლეობა), რომლის დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება. პროგრამას დაემატა ზოგადი განათლების ინტეგრირებული მოდულები. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 15 ივნისის ბრძანებით ცვლილება განხორციელდა მეცხოველეობის (მესაქონლეობა) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში. აღნიშნული ცვლილებით პროგრამის მოცულობა გაიზარდა და 98.5 კრედიტის ნაცვლად გახდა 125 კრედიტი. სსიპ საზოგადოებრივმა კოლეჯმა "აისი" პროგრამა შესაბამისობაში მოიყვანა ჩარჩო დოკუმენტთან და ითხოვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,აისის'' ავტორიზაციის შესახებ'' პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში. კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებულ დანართში მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მეოთხე საფეხურის მეცხოველეობა (მესაქონლეობა) (დუალური მიდგომით) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას კრედიტების მოცულობა განესაზღვროს 125-ით.

3. **სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №29 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა**

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდა თეა ლილუაშვილი, რომელმაც სხდომის თავმჯდომარეს გადასცა შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დოკუმენტი დაერთო ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა კახაბერ ერაძემ.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ საკითხი ეხებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №29 გადაწყვეტილებაში ცვლილებას. კოლეჯი ახორციელებს მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - მეხილეობა (კურკოვანი კულტურები/თესლოვანი კულტურები), რომლის დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება. პროგრამას დაემატა ზოგადი განათლების ინტეგრირებული მოდულები. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 15 ივნისის ბრძანებით ცვლილება განხორციელდა პროგრამის - მეხილეობა (კურკოვანი კულტურები/თესლოვანი კულტურები) ჩარჩო დოკუმენტში. აღნიშნული ცვლილებით პროგრამის მოცულობა გაიზარდა და 103 კრედიტის ნაცვლად გახდა 131 კრედიტი. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივმა კოლეჯმა პროგრამა შესაბამისობაში მოიყვანა ჩარჩო დოკუმენტთან და ითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №29 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №29 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ'' პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №29 გადაწყვეტილებაში. კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებულ დანართში მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მეოთხე საფეხურის მეხილეობა (კურკოვანი კულტურები/თესლოვანი კულტურები) (დუალური მიდგომით) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას კრედიტების მოცულობა განესაზღვროს 131-ით.

4. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისს'' საჯარო განხილვაზე წარმოადგენდნენ დავით უგულავა და ნანა ნამგალაძე, რომლებმაც სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დოკუმენტი დაერთო ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა კახაბერ ერაძემ.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ 2015 წლის 3 სექტემბერს, კოლეჯმა დაიმატა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ათი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. იმ დროისათვის პროგრამებში არ შედიოდა მოდულები: ქართული ენა A2, ქართული ენა B1 და სამოქალაქო განათლება. 2016 წლის 07 მარტის №147 ბრძანებით ცვლილება განხორციელდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2015 წლის 28 ივლისის №536 ბრძანებაში. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროგრამებისთვის ზოგად სავალდებულო მოდულების ჩამონათვალს დაემატა ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და სამოქალაქო განათლება (2 კრედიტი), ხოლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროგრამებისთვის - ქართული ენა A2 (15 კრედიტი), ქართული ენა B1 (15 კრედიტი) და სამოქალაქო განათლება (2 კრედიტი),

სსიპ საზოგადოებრივმა კოლეჯმა ''მერმისმა'' ცენტრში წარმოადგინა განცხადება, რომლითაც გვაცნობა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შესახებ, კერძოდ, აღნიშნული სავალდებულო მოდულების მოდულურ პროგრამებში დამატების შესახებ. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით პროგრამების კრედიტების მოცულობა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი - 95 კრედიტი

ბუღალტერ-ტექნიკოსი - 94 კრედიტი

დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი - 105 კრედიტი

სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი - 87 კრედიტი

თექის ოსტატი - 99 კრედიტი

დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი - 152 კრედიტი

ფილამწყობი - 99 კრედიტი

ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი - 152 კრედიტი

ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი - 168 კრედიტი

ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი - 152 კრედიტი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შეიცვალოს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისს'' (ს/კ: 209467646) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040160	95	80
2	ბუღალტერ-ტექნიკოსი	მესამე	ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 020155	94	80
3	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი	მესამე	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040566	105	30
4	სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი	მესამე	სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტის მესამე	87	20

			საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040959		
5	თექის ოსტატი	მესამე	თექის ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 080382	99	24
6	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	მეოთხე	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 080359	152	24
7	ფილამწყობი	მესამე	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040682	99	30
8	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	მეოთხე	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 080381	152	28
9	ტანსაცმლისა და მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	მეხუთე	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 080377	168	30
10	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	მეოთხე	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 080367	152	16

5. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნატო ალავიძემ და თამარ ვალიშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატო ალავიძემ განაცხადა, რომ დაწესებულება ავტორიზაციის სამივე სტანდარტს სრულად აკმაყოფილებს. დაწესებულებას სურს განახორციელოს 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 3 პროგრამა და 4 საგნობრივი (მათ შორის ერთი მილევად რეჟიმში).

დაწესებულებას მიეცა რამდენიმე რეკომენდაცია:

- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სასურველია ჩანდეს, თუ რომელი საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებშია მოქმედი ხელშეკრულება.
- პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის საწარმოო პრაქტიკას ხელმძღვანელობს მეან-გინეკოლოგი. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მიზანშეწონილია უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკოსი ექთნების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა პოზიცია ჰქონდა შპს მესამე სამედიცინოს წარმომადგენელს ექსპერტების რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

კოლეჯის დირექტორმა ნანული ზარიძემ განმარტა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციები ხელშეკრულებებთან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნება. ხოლო საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებლის შესახებ განმარტა, რომ უკვე გაფორმდა ხელშეკრულება მთავარ ექთანთან და აღნიშნული ხელშეკრულება წარუდგინა საბჭოს.
თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის ადგილის ზღვრული ოდენობის განსაზღვრას ითხოვდა დაწესებულება.

ექსპერტებმა განმარტეს, რომ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით, ორ ცვლაში შესაძლებელია 258 პროფესიული სტუდენტის ადგილის ზღვრული ოდენობის განსაზღვრა, მათ შორის პროგრამების მიხედვით:
ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამები:
პრაქტიკოსი ექთანი (მოდულური) - 20 სტუდენტი
ექთნის თანაშემწე (მოდულური) -20 სტუდენტი
ფარმაცევტის თანაშემწე (მოდულური) - 48 სტუდენტი
საგნობრივი პროგრამები:
ექთნის თანაშემწე (მილევადი) – 13 სტუდენტი

ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი - 20 სტუდენტი
კბილის ტექნიკოსი - 20 სტუდენტი
ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) - 20 სტუდენტი
თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ სად განხორციელდებოდა სასწავლო პროცესი. დაწესებულების წარმომადგენელმა მოახსენა საბჭოს, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდება ქ. თბილისში მის: ა. წერეთლის გამზირი №142.

რადგან დაწესებულება საბჭოს სხდომის პერიოდისათვის ავტორიზებული რეჟიმში ფუნქციონირებდა, თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად სხდომის თარიღი დაფიქსირებულიყო, თუ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო მოქმედი ავტორიზაციის ვადის გასვლის შემდეგ უწყვეტობის პრინციპით.

კოლეჯის დირექტორმა ნანული ზარიძემ უპასუხა, რომ საბჭოს სხდომის თარიღიდან დაწყებულიყო ხელახალი ავტორიზაციის ვადა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 258-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404935273) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 258-ით.

დანართი

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია**	**კრედიტების რაოდენობა**	**სწავლების ენა**	**ადგილების ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები**
1	ექთნის თანაშემწე (მილევადი)	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	ქართული	13	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142

2	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	მესამე	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
3	კბილის ტექნიკოსი	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
4	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№		პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1		ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	103	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
2		პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	179	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
3		ფარმაცევტის თანაშემწე	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	139	ქართული	48	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142

6. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა **საფუძველი ბრძანება № 314**

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდნენ ნატალია ბარათელი და ლელა თვარაძე, რომლებმაც სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დოკუმენტი დაერთო ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ქეთევან ჯანელიძემ და თამარ რემიშვილმა.

კახაბერ ერაძემ საბჭოს აცნობა, რომ შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში მონიტორინგის გეგმიური ვიზიტი უკვე განხორციელდა და შესაბამისი საკითხი განხილულ იქნა მიმდინარე წლის 28 აპრილს საბჭოს სხდომაზე. ექსპერტთა დასკვნაში ფაქტობრივად ხარვეზები არ დაფიქსირებულა. ერთ-ერთი ორგანიზაციიდან 11 აპრილს შემოვიდა წერილი, რომლიც იუწყებოდა, რომ შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი უკანონოდ ახორციელებდა სასწავლო პროცესს ქ. მარნეულში და ორგანიზაცია ითხოვდა ფაქტობრივი გარემოების გადამოწმებას. ამ წერილის საფუძველზე საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელდა არაგეგმიური ვიზიტი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ჯანელიძემ მოახსენა საბჭოს, რომ ვიზიტი განხორციელდა 24 და 25 მაისს. ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტები იმყოფებოდნენ ქალაქ მარნეულში. წერილში მოხსენებულ მისამართზე მათ დახვდათ ქალბატონი ლეილა ნამაზოვი, რომელიც ექსპერტებს გაეცნო როგორც შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დაქირავებული თანამშრომელი. შესაბამისად ექსპერტებმა ვიზიტის ბრძანება და დღის წესრიგი გააცნეს ქალბატონ ლეილა ნამაზოვს. შემდეგ ექსპერტებმა მას მოსთხოვეს შრომითი ხელშეკრულება. აღნიშნულ ხელშეკრულებაში ქალბატონი ლეილა მოხსენებულია სასწავლო ცენტრის დირექტორად. ხელშეკრულებაში არაა დაკონკრეტებული მისი უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულება დადებული იყო ერთწლიანი ვადით. წერილში მითითებულ ფოტომასალაში არსებული აბრა ექსპერტებს მარნეულში არ დახვდათ. სასწავლო პროცესი ვიზიტის დროს არ მიმდინარეობდა, თუმცა ექსპერტები გაესაუბრნენ რამდენიმე სტუდენტს, რომლებმაც თქვეს, რომ საგნების გარკვეული ნაწილს სწავლობდნენ მარნეულში და ეხლა სწავლას აგრძელებენ თბილისში შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში ქსნის ქუჩაზე.

ქალბატონი ლეილა ნამაზოვის განმარტებით შენობაში ადრე ფუნქციონირებდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ოლიმპი. რადგან კოლეჯმა ავტორიზაცია ვერ მოიპოვა, სტუდენტების გადაყვანა მოხდა საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში. ექსპერტებმა იხილეს აღრიცხვის ჟურნალები, სადაც კოლეჯის დასახელება მითითებული იყო, როგორც ,,ოპილმი''. ჟურნალები შედგენილია სხვადასხვა სპეციალობების მიხედვით. ლეილა ნამაზოვმა

ექსპერტებს წარუდგინა იმ სტუდენტთა სია, რომლებიც გადაყვანილ იქნენ შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში (თბილისში). აღნიშნულ სიაში არსებული სტუდენტები ფიქსირდებოდნენ ზემოთ ხსენებულ აღრიცხვის ჟურნალებში. ლეილა ნამაზოვის განმარტებით სტუდენტთა გადაყვანა მოხდა თებერვლის თვეში, თუმცა აღრიცხვის ჟურნალებში სტუდენტთა აღრიცხვა ფიქსირდება აპრილის თვეშიც.

საბჭოს წევრი მამია ჯანჯალია დაინტერესდა კოლეჯის ზემოთ ხსენებული სტუდენტები, რომლებიც მარნეულიდან გადმოიყვანეს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის რეესტრში თუ ჰყავდა დარეგისტრირებული კოლეჯს. ამასთან დაკავშირებით ექსპერტებმა განმარტეს, რომ სამწუხაროდ მათ ვერ მოახერხეს შემოწმება, რადგან კოლეჯმა ამ მიმართულებით თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. თუმცა ნატალია ბარათელის მტკიცებით რეესტრში აღრიცხულია ყველა სტუდენტი, რომლებიც კი არ გადმოიყვანეს, არამედ თავიდან ჩარიცხეს. სტუდენტთაგან მხოლოდ რამდენიმე ფიქსირდებოდა მანამდე ემისის ბაზაში და შესაბამისად, მათ ისარგებლეს მობილობით, სხვა ყველა მათი სურვილისამებრ ჩაირიცხნენ კოლეჯის მიერ შეთავაზებულ პროგრამებზე, როგორც ახალი სტუდენტები, და არა მობილობით გადმოსულები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტებმა მოითხოვეს სტუდენტთა პირადი საქმეები, სადაც აღმოაჩინეს მაისის თვით დათარიღებული გადახდის ქვითრები, ასევე ოლიმპში გადახდის ქვითრები, მიუხედავად იმისა რომ თებერვალში ეს სტუდენტები იქ აღარ სწავლობდნენ. პირად საქმეებში არსებული ქვითრები არ წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებსა თუ საბანკო ქვითარს. ქვითარი იყო ცარიელ ფურცელზე ხელით შევსებული და ხელმოწერილი. ლეილა ნამაზოვის განმარტებით, მშობლებს უფრო მოსახერხებლად მიაჩნდათ ხელზე გადაეხადათ მისთვის, ვიდრე საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხათ თანხა.

თავმჯდომარე დაინტერესდა მარნეულიდან გადმოყვანილ სტუდენტებს რა წესით აქვთ გადახდილი სწავლის გადასახადი თებერვლიდან. კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ მიერ სწავლის საფასური გადახდილია დაწესებულების ოფიციალურ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით, ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია კოლეჯს აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა საკითხი ლეილა ნამაზოვის მიერ სავარაუდოდ უკანონოდ თანხის მითვისების შესახებ და წარადგინა ინიციატივა საქმე გადაეცეს კომპეტენტურ სახელმწიფო უწყებას. აღნიშნულ ინიციატივას დაეთანხმა საბჭოს შემადგენლობა.

ლეილა ნამაზოვის განმარტებით ადგილზე ხორციელდებოდა ქართული ენის მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები.

ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტები იმყოფებოდნენ შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში (ქ. თბილისი). კოლეჯში იმყოფებოდნენ ის სტუდენტები, რომლებიც წინა დღეს ექსპერტებმა იხილეს ქ. მარნეულში. აქვე დაამატა, რომ ქალაქ მარნეულში ამ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტუდენტთა ნაწილმა ქართული ენა საერთოდ არ იცის. მათთან კომუნიკაცია სხვა სტუდენტების მეშვეობით მოახერხეს. ამის პასუხად ნატალია ბარათელმა მოახსენა საბჭოს, რომ დაწესებულებას აქვს ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი აკრედიტებული პროგრამა და არაქართულენოვან სტუდენტებს სთავაზობს მის გავლას.

ვიზიტის მეორე დღეს, კოლეჯის წარმომადგენლებმა მოითხოვეს ვიზიტის ბრძანების საფუძვლად მოხსენიებული წერილი. თუმცა ექსპერტებმა განუმარტეს, რომ წერილი უნდა გამოეთხოვათ ცენტრიდან, დადგენილი წესით.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა კოლეჯის წარმომადგენლებს.

ნატალია ბარათელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ 28 აპრილს საბჭოზე განხილულ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ხარვეზები არ ფიქსირდებოდა და შესაბამისად აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტს. გეგმიური ვიზიტის ბრძანებაში ცალსახად იყო მითითებული ვიზიტის ფარგლებში, რა უნდა შემოწმებულიყო. ამჯერად ბრძანებაში ფიქსირდებოდა, რომ ვიზიტის ფარგლებში უნდა შემოწმებულიყო წერილში მითითებული გარემოებები. მისი მტკიცებით ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგშიც იგივე ფიქსირდებოდა - წერილში მითითებული გარემოებები, თუმცა დაწესებულებისთვის უცნობი იყო წერილის შინაარსი, თუ რა უნდა შეემოწმებინათ ექსპერტებს.

ნატალია ბარათელმა დაადასტურა რომ ლეილა ნამაზოვი შრომით ურთიერთობაშია დაწესებულებასთან. აქვე დაამატა, რომ მსგავსი სამუშაო აღწერილობის ხელშეკრულებით ქვეყნის მასშტაბით არაერთი პირი ჰყავს კოლეჯს დაკონტრაქტებული და მათ მოვალეობაში შედის სტუდენტების დაინტერესება და მოზიდვა შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში.

შპს საზოგადოებრივმა კოლეჯმა ოლიმპმა ავტორიზაცია ვერ გაიარა. ამ დაწესებულების სტუდენტები კი ლეილა ნამაზოვის მეშვეობით ჩაირიცხნენ შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში. ნატალია ბართელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა რომ ლეილა ნამაზოვი საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრის დირექტორია და დაწესებულებაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა. მან გამოთქვა უკმაყოფილება, რომ ვიზიტის პირველ დღეს არ ეცნობა დაწესებულებას ვიზიტის შესახებ. ამასთან დაკავშირებით თავმჯდომარემ განუმარტა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ლეილა ნამაზოვი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის თანამშრომელია, გაეცნო ვიზიტის ბრძანებას, რაც ხელმოწერით დადასტურებულია და თუ ის არ იყო პასუხისმგებელი პირი, მას უნდა გაეცხადებინა ამის შესახებ. შესაბამისად, ამ ნაწილში ექსპერტების მხრიდან რაიმე დარღვევაზე არ შეიძლება იყოს საუბარი.

ნატალია ბარათელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში არ ფიქსირდება, რომ მარნეულში არსებულ ფართზე შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის სახელით სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა. აქვე განმარტა, რომ ლეილა ნამაზოვმა მასთან მოგვიანებით საუბარში აღნიშნა, რომ ის აღნიშნულ ფართში იმყოფებოდა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ოლიმპიდან გადმოყვანილი სტუდენტების პირადი საქმეების მოსაწესრიგებლად. ასევე შენიშნა, რომ ექსპერტებს არ უნახავთ საჩივრის წერილის დანართში მოცემული სურათების შესაბამისი მტკიცებულება ადგილზე (მარნეულში). დაწესებულების დასახელება და საინფორმაციო მონაცემები, რაც წერილს ახლავს, თან არ შეესაბამება რეალურად შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მონაცემებს. იგივე ფაქტობრივი მდგომარეობაა ლეილა ნამაზოვის მიერ წარმოდგენილ აღრიცხვის ჟურნალებთან დაკავშირებით.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ვიზიტის დროს წარმოდგენილ დოკუმენტებში ფიგურირებდა არაავტორიზებული დაწესებულებები: ,,ოპილმი'' და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ოლიმპი.

ექსპერტების განცხადებით, ისინი გაესაუბრნენ შენობის ერთ-ერთ მოსარგებლეს (მოიჯარეს), რომელმაც ექსპერტები დააკავშირა ფართის მესაკუთრეს. მესაკუთრემ თავდაპირველად საუბრისას ექსპერტებს განუმარტა, რომ ფართის ერთ-ერთი სართული გაქირავებულია ზვიად ხაჭაპურიძეზე, ხოლო მეორე შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯზე. ექსპერტებს დაპირდა, რომ ქირავნობის ხელშეკრულებებს გადაუგზავნიდა გასაცნობად. თუმცა მესაკუთრემ დღის ბოლოს უარყო მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის (საიდენტიფიკაციო კოდი: 400019948) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

7. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საფუძველი ბრძანება №376

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდნენ ნატალია ბარათელი და ლელა თვარაძე, რომლებმაც სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დოკუმენტი დაერთო ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნინო ფეტვიაშვილმა და თეა შაყულაშვილმა.

კახაბერ ერაძემ საბჭოს აცნობა, რომ ვიზიტის განხორციელების საფუძველი ამ შემთხვევაში გახდა ერთ-ერთი ორგანიზაციიდან 29 მაისს შემოსული წერილი, რომლიც იუწყებოდა, რომ შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი უკანონოდ ახორციელებდა სასწავლო პროცესს ქ. საჩხერეში. ამ წერილის საფუძველზე განხორციელდა საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელდა არაგეგმიური ვიზიტი.

ექსპერტებმა განმარტეს, რომ წერილში მოხსენებულ მისამართზე არსებულ შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს ლიბერთი ბანკი. მეორე სართულზე განთავსებული იყო კოლეჯი ოლიმპის აბრა. მეორე სართულის მთავარი კარი ჩაკეტილი დახვდათ ექსპერტებს, თუმცა მათ კართან არსებული აბრის გვერდით იხილეს სტენდი რაიონულ საავადმყოფოში სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის ამსახველი ფოტოებით.

ექსპერტები გაესაუბრნენ ლიბერთი ბანკის მენეჯერსა და დაცვის თანამშრომელს. მათი განმარტებით უკვე რამდენიმე თვეა კოლეჯში არავინ გამოცხადებულა და შესაბამისად სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს. საჯარო რეესტრში გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ შენობის მესაკუთრეს კოლეჯ ოლიმპთან ხელშეკრულება გაფორმებული არ აქვს.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ წერილის თანდართულ სურათებში ასახული გარემოებები ადგილზე, ვიზიტის დროს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას არ შეესაბამებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განსახილველი ბოლო ორი საკითხის წარმოდგენისას გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნია შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ოლიმპთან დაკავშირებით საკითხის გამოსაკვლევად საქმის შესაბამისი უწყებისთვის გადაცემა. საბჭოს სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა ინიციატივას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400019948) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 16:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე